მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №6

ქ. მარტვილი 4 აპრილი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ვლადიმერ დანელია, პაატა პირტახია, გოჩა ჯიქია, გიორგი ხორავა, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ ცოტნე კაკულია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება ..2022 წლის 4 აპრილის მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულზე აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 4 აპრილის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 აპრილის განკარგულება №29 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 აპრილის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე.
   /მომხსენებელი– ცოტნე კაკულია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ./

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა.

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ-ის ცოტნე კაკულიას მოხსენება, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე".

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია 123 პროექტი, რისთვისაც გამოყოფილია დაახლოებით 99000 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ დანელიამ და კობა ასაბაშვილმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული პროექტის სრულად გაცნობა დროის სიმცირის გამო ვერ მოახერხეს და სასურველი იქნებოდა მომავალში აღნიშნული გაეთვალისწინებინათ.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე" განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახორციელებელი სამუშაოების მოწონების თაობაზე" 2022 წლის 4 აპრილის დადგენილება №30 სხდომის ოქმს თან ერთვის./

სხდომის დასასრულრულს სიტყვა ითხოვა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ ლევან სურმავამ თანხმობა განაცხადა.

კახაბერ ჯერენაიამ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის ვლადიმერ დანელიას მომართვა, რომლის თანახმადაც ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილედ 2022 წლის 16 მარტიდან არჩეულია საკრებულოს წევრი დათო ხელაია.

მარტვილის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილედ დათო ხელაის არჩევა საკრებულომ მიიღო ცნობად.

/ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის წერილი სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა